| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon /ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 736.4 | 6671.9 | 10.1% | 17.3 % | 1.5% |

**Tiflis Belediye Başkanı T.C. Tiflis Büyükelçisi Sn. Ali Kaan Orbay İle Görüştü**

**თბილისის მერი თურქეთის ელჩს საქართველოში, ბატონ ალი ქაან ორბაის შეხვდა**



Tiflis Belediye Başkanı Sn. Kakha Kaladze T.C. Tiflis Büyükelçisi Sn. Ali Kaan Orbay ile görüştü. Toplantıda iki ülke arasındaki stratejik ilişkileri ele alındı.

Sn. Kakha Kaladze Recep Tayyip Erdoğan'ın Cumhurbaşkanlığı seçimlerini kazanmasından dolayı bir kez daha tebriklerini sunup dost bir ülkeye barış ve istikrar diledi.
Toplantıda Tiflis ile Ankara, ayrıca İstanbul ile farklı yönlerde deneyim paylaşımının önemi vurgulandı.

დედაქალაქის მერი კახა კალაძე თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ალი ქაან ორბაის შეხვდა. შეხვედრაზე ორი ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობების საკითხები განიხილეს.
კახა კალაძემ კიდევ ერთხელ მიულოცა რეჯეფ თაიფ ერდოღანის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება და მეგობარ თურქეთს მშვიდობა და სტაბილურობა უსურვა.
შეხვედრაზე ხაზი გაესვა თბილისსა და ანკარას შორის, ასევე სტამბოლთან სხვადასხვა მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

## Tarım Bakanı İlk Zeytin Fidanlığını Ziyaret Etti

## სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზეთისხილის პირველი სანერგე დაათვალიერა

Tarım Bakanı Sn. Otar Shamugia Signagi Belediyesi'nde bulunan ilk zeytin fidanlığını ziyaret etmişti. Kırsal Kalkınma Ajansının maddi desteği ile Signagi Belediyesi'nin Sakobo köyünde ilk zeytin fidanlığı kuruldu. Zeytin fidanlığı kurmak için limited şirket Geolive 250 000 GEL tutarında "Geleceği Dik" projesi kapsamında devlet eş-finansmanı ve 650 000 GEL'in üzerinde imtiyazlı tarım kredisi dahil olmak üzere toplam 3 milyon GEL'den daha fazla yatırım yapmış oldu.



Çevre Koruma ve Tarım Bakanı Sn. Otar Shamugia fidanlığı ziyaret ederek kendisine çalışma süreçleri ve gelecek planları tanıtıldı.
Sn. Shamugia: "Geleceği Dik" projesi kapsamında bulunduğumuz ilk zeytin fidanlığı olan ve cari yıl yaklaşık 500 000 fidan üretimi öngören tesisi da dahil olmak üzere halihazırda yaklaşık 16 fidanlığa finansman sağlamıştık; ileriki yıllarda ölçek 1 milyon fidana kadar büyütecektir. Çiftçilerimiz için ithalatı ikame etmemiz ve onlara yerli üretimi olan, ileride yüksek getirili ve kaliteli ürünleriyle tanınmış olacak fidanları temin etmemiz son derece önemlidir. Zeytin üretiminin büyük bir potansiyeli olduğunu düşünüyorum, fidanlık kurmak bu sürece el verecektir" ifadeleri kullandı.
Limited şirket Geolive'in kurucularından birisi, işadamı Sn. Giorgi Svanidze'ye göre, Gürcistan'da zeytin fidelerinin %100'ü ithal ediliyordu, yeni bir fidanlık sayesinde ise ithalatı ile yerel üretim yer değiştirecek.
Sn. Svanidze: "Fidanlıkta 9 farklı fidan çeşidi mevcuttur ve ülkenin iklimine son derece uygun olacak Gürcü zeytin türünü üretmek için aktif olarak çalışmaktayız. Bu fidanlığın açılmasında Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı büyük bir rol oynadı. Devlet programları ve Türk iş ortaklarıyla işbirliği olmasaydı, bugün Gürcistan'da bunun gibi mükemmel bir bahçe bulunamazdı" şeklinde konuştu.
"Geleceği Kur" devlet programının fidanlık tesisleri bileşeni çerçevesinde 2015 yılından itibaren 31 Mayıs 2023 yılına kadar 14 lehtara eş-finansman sağlanmıştı, 3.6 milyon GEL'den daha fazla olan Kırsal Kalkınma Ajansı'nın eş-finansmanı da dahil olmak üzere, yatırım hacmi 6 milyon GEL'i aşmış durumundadır.



Signagi Belediye'sinde bulunan yeni zeytin fidanlığında Çevre Koruma ve Tarım Bakanı ile birlikte T.C. Tiflis Büyükelçisi Sn. Ali Kaan Orbay ile Kırsal Kalkınma Ajansı Müdürü Sn. David Tsitlidze de hazır bulunmuşlardır.



სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ბატონმა ოთარ შამუგიამ სიღნაღის მუნიციპალიტეტში ზეთისხილის პირველი სანერგე დაათვალიერა.
სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოში, ზეთისხილის პირველი სანერგე მოეწყო. შპს „ჯეოლაივმა“ ზეთისხილის სანერგის მოსაწყობად 3 მლნ ლარზე მეტის ინვესტიცია განახორციელა, მათ შორის, პროგრამის „დანერგე მომავალი“ სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსება 250,000 ლარი, ხოლო 650,000 ლარზე მეტი შეღავათიანი აგროკრედიტია.
სანერგე მეურნეობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ დაათვალიერა, სამუშაო პროცესს და სამომავლო გეგმებს გაეცნო.
„პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, ჩვენ 16-მდე სანერგე მეურნეობა გვაქვს უკვე დაფინანსებული, მათ შორის, ეს სანერგე მეურნეობაც, რომელიც ზეთისხილის პირველი სანერგე მეურნეობაა და წელს დაახლოებით 500 000 ნერგის გამოყვანას გეგმავს; მომავალ წლებში მასშტაბი 1 მლნ ნერგამდე გაიზრდება. ჩვენი ფერმერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმპორტი ჩავანაცვლოთ და შევძლოთ ადგილზე წარმოებული ნერგების მიწოდება ფერმერებისთვის, რომლებიც შემდგომში მაღალი მოსავლით და ხარისხიანი პროდუქციით იქნება გამორჩეული. ვფიქრობ, რომ ზეთისხილის წარმოებას აქვს პოტენციალი და სანერგეს მოწყობა ამ პროცესს ხელს შეუწყობს“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.



შპს „ჯეოლაივის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ბიზნესმენის გიორგი სვანიძის განცხადებით, ზეთისხილის ნერგების იმპორტი საქართველოში 100% იყო, ახალი სანერგე კი, იმპორტს ადგილობრივი წარმოებით ჩაანაცვლებს.
„სანერგეში ცხრა სხავადასხვა ჯიშის ნერგია და აქტიურად ვმუშაობთ ქართული ზეთისხილის ჯიშის გამოყვანაზე, რომელიც ქვეყნის კლიმატზე მაქსიმალურად მორგებული იქნება.
ამ სანერგეს გახსნაში დიდი როლი ითამაშა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. რომ არ ყოფილიყო ასეთი

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC Waikiki იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

სახელწიფო პროგრამები და ასევე სანერგე მეურნეობების გაშენების კუთხით თურქ პარტნიორებთან თანამშრომლობა დღეს საქართველოში ეს შესანიშნავი ბაღი არ იქნებოდა“, - განაცხადა გიორგი სვანიძემ.
სახელმწიფო პროგრამის ,,დანერგე მომავალი“ სანერგე მეურნეობების კომპონენტის ფარგლებში, 2015 წლიდან 2023 წლის 31 მაისის მდგომარეობით თანადაფინანსებულია 14 ბენეფიციარი, ინვესტიციის ოდენობა 6 მლნ ლარს აღემატება, საიდანაც სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 3,6 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.
სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ზეთისხილის ახალ სანერგეში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად იმყოფებოდნენ თურქეთის ელჩი საქართველოში ალი ქაან ორბაი და სოფლის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი დავით წითლიძე.

## Kutaisi’de Yerinden Edilmiş 480 Aileye Daireler Devredildi

## ქუთაისში 480 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცა



Kutaisi’de yerinden edilmiş 480 aileye daire devredilen 3 tane 16 katlı apartmanın inşaatı sonuna erdi. Yakın zamanda daha 320 dairenin inşaatı tamamlanacaktır.
Yerinden edilmişleri daire ile sağlama projesi ülke genelinde devam ediyor. Çerçevesinde 3 tane 12 katlı apartman dikilecek olan 720 dairenin inşaat projesi sürdürülmektedir. İnşaatın 2025 yılın sonuna kadar tamamlanması öngürülüyor.
Son 10 yıl boyunca 31 000 aileye daireler devredilip mülkiyet yasallaştırıldı. Ayrıca kırsal bölgelerde evleri mülkiyete geçirme projesine devam ediliyor. Önümüzdeki 2-3 yıl boyunca 7 000’i daire, 6 000’i de kırsal konut programı çerçevesinde devredilecek ev olmak üzere daha 13 000 aile konut edinecektir.

Ayrıca Nikea sokağında 720 dairenin inşaatı planlamaktadır. Proje kapsamında 3 tane 12 katlı apartman dikilecektir.
İnşaat çalışmaları 2025 yılın sonuna kadar tamamlanacaktır. Yerinden edinmiş ailelere daireler yenilenmiş halinde devredilecektir. Proje bütçesi- 77 347 872 GEL’i oluşturmaktadır.

ქუთაისში დასრულდა სამი 16-სართულიანი კორპუსის მშენებლობა, სადაც 480 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცა. უახლოეს პერიოდში, მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ 320 ბინის მშენებლობა დასრულდება.
დევნილების ბინებით უზრუნველყოფის პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით გრძელდება. მიმდინარეობს 720 ბინის მშენებლობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც სამი 12-სართულიანი კორპუსი აშენდება. მშენებლობა 2025 წლის ბოლომდე დასრულდება.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ბოლო 10 წლის განმავლობაში, ბინები გადაეცა და საცხოვრებელი დაუკანონდა 31 000 ოჯახს. ასევე გრძელდება სოფლად სახლების გადაცემის პროგრამა.
მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში, დამატებით 13 000 ოჯახი მიიღებს საცხოვრებელს, საიდანაც 7 000 იქნება ბინა, 6 000 კი სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში გადასაცემი სახლები.

ასევე იგეგმება ნიკეას ქუჩაზე 720 ბინის მშენებლობა. პროექტის ფარგლებში აშენდება სამი 12-სართულიანი კორპუსი.

სამშენებლო სამუშაოები 2025 წლის ბოლოს დასრულდება. დევნილ ოჯახებს ბინები დასრულებული რემონტით გადაეცემათ. პროექტის ბიუჯეტი - 77 347 872 ლარს შეადგენს.

## Martvili Kanyonu ve Okatse Şelalesi'nde 3D Aydınlatma

## 3D განათება მარტვილის კანიონსა და ოკაცეს ჩანჩქერზე



Martvili kanyonu ve Okatse şelalesi'ni geceleyin, 3D aydınlatma ile gezmek artık mümkün!

Gürcistan'ın koruma alanları tarihinde ilk kez, Martvili kanyonu ve Okatse şelalesi'ni gece vaktinde de gezmek mümkün olacaktır. Çevre dostu, uluslararası standarda uygun 3D aydınlatma sistemi çevreye zarar vermez ve aynı zamanda seyahati daha görkemli kılar.

მარტვილის კანიონსა და ოკაცეს ჩანჩქერზე მოგზაურობა ღამით, 3D განათებების ფონზე, უკვე შესაძლებელია!

პირველად საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, მარტვილის კანიონსა და ოკაცეს ჩანჩქერზე მოგზაურობა ღამის საათებშიც ხდება შესაძლებელი. ეკომეგობრული, საერთაშორისო სტან-დარტის შესაბამისი 3D განათების სისტემა, ზიანს არ აყენებს გარემოს და, ამავდროულად, მოგ-ზაურობას კიდევ უფრო სანახაობრივს ხდის.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC Waikiki · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

## Irakli Garibashvili Almanya Şansölyesi, Olaf Scholz İle Bir Araya Geldi

## ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის კანცლერს, ოლაფ შოლცს, შეხვდა

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Almanya Federal Cumhuriyeti'ne çalışma ziyaretinde bulunmuştu.

Çalışma ziyareti kapsamında Başbakan Almanya Federal Cumhuriyeti Şansölyesi, Sn. Olaf Scholz ile Berlin'de bir araya geldi.

Görüşmede Sn. Garibashvili Sn. Scholz'a Gürcistan tarafından Avrupa Birliği'ne entegrasyonu yolunda atılmış adımları, yapılmış reformları ve Avrupa Komisyonu tarafından verilmiş olduğu 12 tavsiyesinin uygulamasındaki önemli ilerlemeyi tanıttı.



Toplantıda ayrıca iki ülke arasında mevcut olan ortaklık ve dostane ilişkilerinin altını çizildi.

Taraflar bölge ve dünyadaki güvenlik ortamı, Gürcistan'ın Avrupa-Atlantik entegrasyonu ve son yıllarda kaydedilen ilerlemesinden bahsetmişlerdir.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამუშაო ვიზიტით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფებოდა.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი გერმანიის ფედერალურ კანცლერს ოლაფ შოლცს ბერლინში შეხვდა.

შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა ოლაფ შოლცს საქართველოს მიერ ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯები, განხორციელებული რეფორმები და ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების კუთხით არსებული მნიშვნელოვანი პროგრესი გააცნო.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული მჭიდრო პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობები.

მხარეებმა ისაუბრეს რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ უსაფრთხოების გარემოზე. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და ბოლო წლებში მიღწეულ პროგრესს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

### Batum Stadyumu Emlak Oscar'ını Kazandı

### ბათუმის სტადიონმა უძრავი ქონების ოსკარი მოიპოვა



Amerika Birleşik Devletleri'nde, Miami'de "En İyi Kamu Altyapısı" kategorisinde Batum stadyumu'nun Oscar ödülü aldığı FIABCI World Prix d'Excellence Awards 2023 düzenlendi.

Batum stadyumu Dünya Kongresi kararı ile uluslararası bir ödül ve tanınırlık kazandığı FIABCI ödül töreni'nde Dünya Kamu Altyapısı ödülü'ne aday gösterilmişti.

აშშ-ში, ქალაქ მაიამიში FIABCI World Prix d'Excellence Awards 2023 დაჯილდოება გაიმართა, სადაც ბათუმის სტადიონმა კატეგორიაში „საუკეთესო საჯარო ინფრასტრუქტურა" გაიმარჯვა და ოსკარი მოიპოვა.

ბათუმის სტადიონი FIABCI-ის დაჯილდოებაზე მსოფლიო საჯარო ინფრასტრუქტურის ნომინაციაზე იყო წარდგენილი, სადაც სტადიონმა მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ჯილდო და აღიარება დაიმსახურა.

### Tiflis'te Uluslararası Standartlara Uygun Yeni Bir Havalimanı İnşa Edilecek

### თბილისში ახალი საერთაშორისო სტანდარტების აეროპორტი აშენდება




ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING



New York Hava Kirliliği Oranıyla Dünya Çapında Önde Gelendir

ნიუ-იორკი ჰაერის დაბინძურების ნიშნულით მსოფლიოში მოწინავე ადგილზეა




Gürcistan'da İstihdam Endeksi Tarihi Bir Zirvesinde, Yoksulluk Endeksi İse Tarihi Minimumda

საქართველოში დასაქმების მაჩვენებელი ისტორიულ მაქსიმუმზეა, სიღარიბის მაჩვენებელი კი ისტორიულ მინიმუმზე




1 Ekim'de Bruno Mars Boris Paichadze Adlı Stadyumda Konser Verecek

1 ოქტომბერს ბრუნო მარსი ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე კონცერტს გამართავს

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

## Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6069 TRY/GEL – 0.1111 EUR/GEL – 2.8053 GBP/GEL – 3.2717

USD/GEL

05 - 12 Haziran 2023



USD/TR

05 - 12 Haziran 2023



TRY/GEL

05 - 12 Haziran 2023



BTC – 25 847. 6

05 - 12 Haziran 2023

